მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2
2015 წლის 2 თებერვალი

ქ. მარნეული

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე.“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №297 განკარგულების ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გათვალისწინებით მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 22 ოქტომბრის №35 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge), 26.10.2012, 270070000.35.159.016102) და დანართი №1-ს დაემატოს აპარატის უფროსი სპეციალისტის და დამხმარე მოსამსახურის თანამდებობრივი სარგო /დანართი №1/.

მუხლი 2

დადგენილება ძალაში შედის 2015 წლის 1 მარტიდან.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ნაბი აბდულაევი**

დანართი №1

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოები

თანამდებობის დასახელება	**თანამდებობრივი სარგო**
საკრებულოს თავმჯდომარე	2650
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1700
საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1350
საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	1350
საკრებულოს აპარატის უფროსი	1000
საკრებულოს აპარატის განყოფილების უფროსი	810
თავმჯდომარის თანაშემწე	790
აპარატის მთავარი სპეციალისტი	560
აპარატის უფროსი სპეციალისტი	520
აპარატის დამხმარე მოსამსახურე	520